481100
4627450
4627300
480950

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **9 თებერვალი 2021წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი,დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 163;

საკადასტრო კოდი:

01.72.14.013.589 ;

ფართობი:

11247.00 კვ.მ;

მესაკუთრეები:

შპს „ ჯი-თი მოტორს" , ID ნომერი:206276340

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა . აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	სასიცოცხლო ფორმა	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	თეთრი იფანი (Fraxinus ornus L)	29	ხე	ჯანსაღი	გადაბელილი ექვემდებარება გადარგვას
2	ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus horizontalis Mill)	32	ხე	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

3	ნეკერჩხალი (Acer rubrum))	14	ხე	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 3

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : -

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 3

ზეხმელი ხე–მცენარეები : -

ხმობადი ხე–მცენარეები : -

კერძოდ:

იხ. ცხრილი№1

1 . მარადმწვანე წიწვოვანი ხე-მცენარე 1 ძირი:

1ძირი(№ 2) -ჰორიზონტალური კვიპაროზი (Cupressus horizontalis Mill).

2 . იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარი 2ძირი:

1ძირი(№ 1) -თეთრი იფანი (Fraxinus ornus L);

1ძირი(№ 3) - ნეკერჩხალი (Acer rubrum).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ჯანსაღი ხეების გადარგვა:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე

საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე.








153
გარემოსდაცვითი
ხედამხედველობის
დეპარტამენტი